

F 55  
1909

# შინაური საქმეები



№ 37.

კვირა, დეკემბერი 27, 1909 წ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

აღრმსი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

**შინაური:** ქუთაისი 27, დეკემბერი; შეაძლებელია, რომ თანამედროვე განათლების მოაზრე კაცს სწამდეს დღევანდელი იესო ქრისტესი?—ნაცარყანელისა; წერილი რედაქციის მიმართ—დეკ. კ. ცინცაძისა; საკუთარი გამოცემის საკითხი ქალთ-კახეთის სამღვდლოების კრებაზე—ხელისა; არტაბანის ძღვენი (საშობაო მოთხრობა)—მღ. ი. ლუკიანოვისა; შეუღარდილე; (ლიქსი)—რ. საჯავახოელისა; რას ამბობენ შესანიშნავი აღამიანები ბიბლიის შესახებ—ო. მწირისა; ღია წერილი ვაზ „დროების“ რედაქტორს—ბ. მჭედლიძესა.

**წელიწადი მესამე.**

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წელს**

**საეკლესიო და საზოგადოებრივ ყოველკვირეულ გაზეთს „შინაურ საქმეებზე“**

საბლალოჩინო ოლქს ორი ცალი გაზეთი უფასოდ დაეთმობა ღირებ ეკლესიებისთვის, თუ ათ ცალს გამოიწერს და ხვედრ ფასს ნახევარს მაინც წინდაწინ წარმოადგენს. სოფლის მასწავლებლებს და მოწაფეებს გაზეთი 3 მანეთად დაეთმობა. გაზეთი არავის გაეგზავნება, თუ ნახევარი წლის გადასახადი დაზღვევისათანავე არ შემოიტანა.

გაზეთის წლიური ფასი უველგან 4 მანეთი.

ქუთაისი 27 დეკემბერი.

როგორ ჩაიარა თქვენმა კრებამ? ვკითხე ქართლ-კახეთის სამღვდლოების ეხლახან ყოფილ კრების წევრთაგანს. ჩვეულებრივად, მიპასუხა მან, განვიხილეთ და დავამტკიცეთ სასულიერო სასწავლებლების მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა, შევამოწმეთ სანთლის ქარხნის მდგომარეობა და ამით გავათავეთ საქმე. ღმერთმა ააშენოს ჩვენი თავმჯდომარე, ძალიან მალე გავვითავდა საქმე და ეხლა შინ გიახლოებით შობის მისაგე-

ბებლადო“, დაუმატა დეპუტატმა. მარტო ვგ იყო, მაგისტვის დაისაჯენით? შეუბრუნე კითხვა. „როგორ? არა კმარა? ჰო, კიდევ რალაც მაგონდება... მგონი, რალაც გაზეთის შესახებაც მოვილაპარაკეთ და კიდევ ახალ ექსარხოსს მივულოცეთ და მშვიდობით ჩამობრძანება ვუსურვეთ, რაზედაც პასუხიც მივიღეთ, რომელშიდაც მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მრავალყამიერ სიცოცხლეს უსურვებს ჩვენ სამღვდლოებს. ჩვენც, ხომ მოგვხსენებთ, მრავალყამიერის“ ნაჩვევთ, ვერ მოვიტყუებო და ერთი

სახელმწიფო რედაქციის ბიბლიოთეკა



ისეთი „მრავალ უამიერი გავქიმეთ“, თქვენი მოწონებული! გეგონებოდათ ქელეხში ზიანო . მერაღაც კითხვა მინდოდა შემებრუნებია, მაგრამ დებუტატმა აღარ მომიცადა. მერმე კერძოთ გავიგე. კრებას დაუდგენია ოფიციალურ სავალდებულო ორგანოს გამოცემა, ქართული განყოფილებით, რომელშიდაც მოთავსებული იქნება მხოლოდ ქადაგებები ყოველ კვირისთვის.

როგორ ჩაუვლია, მკითხველო, ქართლ კახეთის სამღვდლოების მეოცე საუკუნის კრებას? ამაზე იმედი მაქვს შენ აზრს გამოსთქვამ, მაგრამ მეც ჩემ აზრს ვიტყვი: უმნოდ, ულაზათოდ, უაზროდ და უგულოდ თავის პირდაპირი მოვალეობისადმი. ნუ თუ ქართლ-კახეთის სამღვდლოებს ამის მეტი არაფერი აინტერესებს? ნუ თუ მანვერ იპოვა თავის ცხოვრებაში უფრო საინტერესო და საჭირობოროტო საკითხები, რომლებიც თხოულობენ დაუყოვნებლივ პასუხს? ამბობენ, ნება არ მოგვცეს ასეთი საკითხები დაგვესვა და მსჯელობა გავგეწიოთ. ჩვენ ეს მტკნარი სიცრუე გვგონია. რა თქმა უნდა, სამღვდლოებს ნებას არ მისცემდნენ რუსეთის კონსტიტუციაზე ან დემოკრატიულ რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაზე აღეძრა საკითხი, ნებას არ მისცემდნენ, ესთქვათ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე ხმა ამოეღოთ, მაგრამ არავინ აღუკრძალავდა სარწმუნოებრივ-ზნეობრივ საკითხების დასმას და მსჯელობას; მაგალითად, თუ როგორ აღიმადლოს თავი, გაიფაქიზოს ზნეობა, მოიპოვოს დაკარგული გავლენა ხალხზე თანამედროვე ქართველმა მღვდელმა; სამღვდლოებს ენას არ მოსჭრიდნენ იმისთვის, რომ აღეძრა საკითხი შესახებ დაცემული სარწმუნოების აღდგენისა და განმტკიცებისა ხალხში, ან კიდევ შესახებ თანამედროვე სამღვდლო კანდიდატების

აღზრდისა. რას ნიშნავს სანთელი და საკმეველი ამ საკითხებთან შედარებით? რას წარმოადგენს სმეტები, რომლებიც არც სულის ეხმარებიან და არც გულს!.. გულგრილობა, გულგრილობა და სრული დავიწყება თავის მოვალეობისა, აი ნამდვილი მიზეზი კრების უმნიშვნელობისა. როგორც ეტყობა, ქართლ-კახეთის სამღვდლოების დევიზია ძველი ანდაზა „მე კარგათ ვიყო და ქვა ქვაზედაც დადუღებულაო“!

**შესაძლებელია, რომ თანამედროვე განათლების მოაზრე კაცს სწამდეს ღვთაება იესო ქრისტესა? \***

(რეფერატი უფლებათა კანდიდატის ბარან მ. ნიკოლაისა).  
(თარგმანი რუსულიდან).

**აღდგომა ქრისტესი.**

როდესაც ჩვენ ვლპარაკობთ ქრისტეს „აღდგომაზე“, ჩვენ გვესმის ეს სიტყვა არა აღლგორიულად. როგორც მაგ. დიდკაცებზე იტყვიან ხოლმე, მაგ., შექსპირზე, გიოტზე და სხვ. რომ ისინი სცხოვრობენ სიკვდილის შემდეგაც, განავრძობენ ცხოვრებას კაცთა ხსოვნაში. ქრისტეს აღდგომად ჩვენ ვრაცხთ მისი ქეშმარიტ დაბრუნებას სიცოცხლისადმი, ზესთ. ძალით, ნამდვილი სიკვდილის შემდეგ ჯვარზე.

მაშასადამე ჩვენ უნდა გამოვიკვლოთ საკითხი ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ფაქტის შესახებ.

ძირითადი მნიშვნელობა ამ ფაქტისა ცხადია. თუ ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, მაშინ ის არ არის მომავლადი კაცი, როგორც ჩვენ; თუ ის არ აღდგომილა მკვდრეთით, მაშინ ის მხოლოდ კაცია, და არა განხორციელება ღვთაებისა. თუ ის არ აღდგომილა მკვდრეთით, მაშინ ჩვენ შეგვიძლია დიდი ექვით შევხედოთ ყველა მის სსსწაულებს; თუ ის აღსდგა მკვდრეთით, მაშინ ის არის დიდ სსსწაული სსსწაულთა, რომლის წინაშე ჰქრებიან ყველა სსსწაულები სახარებაში და მათი მი-

ლება მაშინ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. ასეთ მნიშვნელობას აწერდა ქრისტეს აღდგომას პავლე მოციქული: „უკეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდსამე არს ქადაგება ესე ჩვენი და ცუდად არს სარწმუნოება ეგე თქვენი“ (1 კორ. 15, 14). იმავე აზრისაა დავით შტრაუსიც. „ჩვენ აქედგევართ მეხოძირზე (ჯვარადინ გზაზე) ამბობს ის, და ან უნდა უარი ვთქვათ იესოს ცხოვრების ბუნებრივად ახსნის ცდაზე, ან უნდა ვპოვოთ ვანმარტება აღდგომის ამბისა უზებუნებრივით... ეს საკითხი, განაგრძობს ის, არის ცხოველი ძარღვი ქრისტიანობისა! ასევე უცქეროდნენ ამ ფაქტს პირველი დროის ქრისტიანებიც. „ესე იოსე აღადგინა ღმერთმან, რომლისაც ვართ ჩვენ ყოველნი მოწამე“ (საქმე მოც. 2, 32), ამბობდა პეტრე მოციქული პირველ ქადაგებაში, დარწმუნებით, სიხარულით და კანდიერებით საჯაროთ აცხადებდა ამ ფაქტს. მოციქულების ქადაგების ძალა იმაში იყო, რომ ისინი ყველგან ქადაგებდნენ არა მარტო მოძღვრებას, არა მარტო ქრისტიანულ ზნეობას, არამედ პირველად ყოველსა ამბავს ჯვარცმულ და მკვდრეთით აღდგომილ ქრისტე მაცხოვრისას საცა კი მისწვდა ქრისტიანობა, მთელ ხმელთა შუა ზღვის კიდევებზე, შემდეგ მთელ ქვეყანაზე, ყველგან ამ მოძღვრების ქვაკუთხედად იყო რწმენა მკვდრეთით აღდგომილი უფლისა. გასაკვირველი არ არის, რომ ქრისტიანობის წინააღმდეგნი ყველა დროისა ყოველნიარად სცდილობდნენ ამ მუხლში შეერყიათ მოციქულთა მოძღვრება.

სამი უმთავრესი ჯგუფია ქრისტეს აღდგომის სინამდვილის უარყოფელთა მოძღვრებისა პირველად ყოვლისა, ჩვენ გვხვდება ის აზრი, რომ ქრისტე ჯვარზე არ მომკვდარა, არამედ მას გული შეუწუხდა და შემდეგ გრილს საფლავში გრძნობაზე მოვიდა.

ამ აზრის მომხრენი იმოწმებენ ქრისტეს მკირე ხნის ყოფნას ჯვარზე და აქედან შესაძლებლად სთვლიან მოჩვენების სიკვდილს. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ისინი გვიჩვენებენ ებრაელთა ისტორიკოსის იოსებ ფლაპიოსის მოთხრობას; როცა ის (იო

სებ ფლაპიოსი) ომიდან ბრუნდებოდა, ნახა ბევრ ჯვარცმულ ებრაელთა შორის სამი თავისი მეგობარი, რომლებიც მან ჯვარებიდან ჩამოხსნა და ერთ მათგანს სიკოცხლეს კი დაუბრუნა, მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი ხანი ეკიდა ჯვარზე. დ. შტრაუსი ხუმრობით ამტკიცებს ზემოხსენებულ მოსაზრების უსაფუძვლოებას. ის ამბობს, რომ თუ სამი სიკოცხლის ნიშნების მექონ ჯვარცმულთაგან მხოლოდ ერთს დაუბრუნდა სიკოცხლეს კი მოვლის შემდეგ, დაუჯერებელია, რომ გაცოცხლდა სულ მოუფლელად ერთ, რომელსაც სულ აღარ ეტყობოდა სიკოცხლის ნიშნები. ქრისტეს სიკვდილის სინამდვილეს ამტკიცებს იოანეს სახარებაში მოთხრობილი ფაქტი, რომ მხედარმა უკმირა გვერდში ლახვარი და მოწმობა რომელი ასისტავისა, რომელიც იქ იყო, თანამდებობის გამო. ჯვარცმის დროს. სრულიად ბუნებრივია, რომ პილატემ არ დაიჯერა პირველი ამბავი ქრისტეს მალე სიკვდილისა (მარკ. 15, 14 45) და სხეულის ჩამოხსნის ნება მისკა მხოლოდ მაშინ, როცა მიიღო ოფიციალური რაპორტი ამ ასისტავისა, რომელიც თავიანთი იყო ოწყობულ ამბის სინამდვილისა. შესაძლო ობობა ქრისტეს მოჩვენებითი სიკვდილისა ირღვევა კიდევ შემდეგი მოსაზრებით: როგორც სამართლიანად შენიშნავს შტრაუსი — „საკოდავი ტანჯული, ნახევრად ცოცხალი, გაქვირებით გამოცოცხებული საფლავიდან რომელსაც ყურადღებითი მოვლა ესაქიროებოდა, რომელიც შემდეგში მაინც კიდევ მოკვდა, ვერ მოახდენდა მოწაფეებზე სიკვდილისა და საფლავის მძლეველის შთაბეჭდილებას“. — „ფეხებ გახვრეტილ კაცს, სწერს პროფ. შილდოვი, არამც თუ არ შეეძლო მესამე დღეს სამი ვერსის გავლა ემაუსისკენ, არამედ, მედიცინის თანახმად, ფეხზე დგომაც კი არ შეეძლო ერთ თვეს მაინც ჯვრიდან ჩამოხსნის შემდეგ.“ ეხლანდელ დროში ქრისტეს მოჩვენებითი სიკვდილის მოსაზრებამ დაჭარბა მეცნიერული მნიშვნელობა.

მეორე მოსაზრება ამბობს, რომ ქრისტე ქვეშაობითად მოკვდა ჯვარზე, მაგრამ არ

აღდგომილა მკვდრეთით, და რომ მალე სიკვდილის შემდეგ გაავრცელეს ცრუ ხმები მისი მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ეს მოსზრება ჩვენ აღრევე გვხდება და პირველი მისი დამცველები და გამავრცელებლები იყვნენ ურიათა მღვდელმთავრები (მათ 28 13-15). მაგრამ ვერც ეს მოსაზრება უძლებს სულ მსუბუქ კრიტიკასაც კი. მართლდა, ვინ მოიპარავდა ქრისტეს გვამს? რასაკვირველია არა მღვდელ—მთავარი და ფარისევლები, რადგანაც, როგორც შენიშნავს შტრაუსი, ისინი ქრისტეს აღდგომის ამბის პირველ გაგონებაზედვე აჩვენებდნენ მისე სხეულს და ამით ყოველივე მითქმამოთქმას ბოლოს მოუღებდნენ. ამასთანავე, ისინი სულაც არ იყვნენ დაინტერესებულნი ამ გვარ ამბის გავრცელებით ქრისტეს შესახებ, პირიქით ძალიანაც კი ეშინოდათ მისი (მათ 28,12). არ შეეძლოთ ქრისტეს სხეულის მოპარვა რომელიმე ჯარის კაცებსაც. მათ არა თუ არაფერი ინტერესი არ ჰქონდათ ამ საქმეში, არამედ რომელიმე სამხედრო რკინის დისციპლინის ძალით, ისინი პასუხისმგებაში იქნებოდნენ მიცემულნი ჩაბარებული სხეულის შეუნახველობისთვის. ქრისტეს სხეულს მოპარვა შეეძლოთ მხოლოდ მოციქულებს. მაგრამ საკითხია, საიდან დაებადებოდათ მათ აზრი ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაზე? როცა ქრისტე დადიოდა მათთან ერთად ვნებამდე და უწინასწარმეტყველებდა მათ თვისი მკვდრეთით აღდგომის შესახებ, მოწაფეებს უკვირდათ და არც კი ესმოდათ ამ სიტყვების მნიშვნელობა (მარკ. 9, 10, 31, 32; ლუკა 18, 34). იოანეს სახარებაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ მოციქულებმა ჯვარცმიდან მესამე დღესაც კი ვერ შეიგნეს, რომ ის მსგავსად წერილისა, უნდა ამდგარიყო მესამე დღეს (თ. 20 9). დასაჯერებელია განა, რომ ეხლა, მესამე დღეს ჯვარცმის შემდეგ, ისინი მიმართავდნენ ამ გვარ უსენინებო, გაუგებარ და ურიათათვის დაუჯერებელ კორს ქრისტეს აღდგომაზე იმ იმედით, რომ ამას დაიჯერებს ვინმე? თუ ჩვენ ამას მივიღებთ, ამითი დავამტკიცებთ, რომ ზოგნი მაინც ქრისტეს მოციქულთაგანნი იყვნენ შეგნებული მატყუარანი, და ცრუნი.

მაგრამ მათ როგორ დაუჯერებდნენ? როგორ დაიჯერეს ეს ქრისტეს დედა და ძმები? უკანასკნელებს სიცოცხლეში არა სწამდათ ის და განა ეხლა სიცრუემ დაარწმუნა იგინი? (საქმე მოც. 1,14). როგორ შეეძლო ამისთანა სიცრუის დაჯერება ისეთ ქვეიან და დამოუკიდებლად მოაზრე კაცს, როგორიც იყო პავლე მოციქული ან მრავალნი სხვანი? როგორ მოიკიდებდა ფეხს ეს სიცრუე? უნებლიეთ ეკითხები შენს თავს: ნუთუ ეს გულუბრყვილო შეთევვებები ისეთი აქტიორები იყვნენ, რომ დიდი რიხით გამოაცხადეს ცნობილი სიცრუე, მერე ერთხელ მაინც არ გამოვიდნენ თავისი როლიდან? ნუთუ არც ერთი მათგანი არ წინააღმდეგებოდა ამ გვარ სიცრუეს? სიცრუე აცრე თუ გვიან გამოცხადდება და განსაკუთრებით ამისთანა ტლანქი სიცრუე, როგორიც ეს იყო, დიდ ხანს ვერ დაიმალებოდა; დასასრულს, რა სახელს მისცემდა მოციქულებს ამ გვარი საძაგელი საქციელი რა სარგებლობს მიიღებდნენ ისინი ამისგან? ქრისტეს აღდგომის ქადაგებისთვის მათ მიიღეს მხოლოდ დევნა, სიძულილი, გვემა, ნაკლებობა და ტანჯვითი სიკვდილი. ჰარნაკი და შტრაუსი ორივენი გადაჭრით ამბობენ, რომ ქრისტეს მოწაფეები უეჭველად დაარწმუნებულნი იყვნენ მის აღდგომის სინამდვილეში და რომ მათი გულწრფელობა უეჭველია. ამ რიგად არც ეს მოსაზრებაა სარწმუნო.

დავგვრჩა მესამე თეორია—თეორია გრძნობათა მოტყუებისა, რომელიც ამბობს, მოწაფეებმა წარმოიდგინეს, ვითომც იხილეს მკვდრეთით აღდგომილი უფალი. ზოგიერთი მწერლები, როგორც ჩენანი დიდ მნიშვნელობას აწერენ მარტინ მადალინელის „სეველის ქარებს“, ჰგონებენ, რომ ლევენდა ქრისტეს აღდგომაზე მისგან გამოვიდა. სხვები, უფრო საფუძვლიანი კრიტიკოსები, როგორც შტრაუსი, იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ დასაწყისში ზოგიერთმა მოციქულებმა „აღზნებული მდგომარეობის“ გამო დაინახეს ლანდი ქრისტესი. მათ შემდეგ კი სხვებმა წარმოიდგინეს, ვითომც იხილეს იგი. რომ ეს მოსაზრება უფრო სიმართლის მსგავსად გახადოს,

შტრაუსი ფიქრობს, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მოციქულებმა იწყეს საღვთო წერილის შესწავლა და იქ იპოვნეს აზრი აღდგომის შესახებ; მაგრამ, რადგანაც ამას დიდი ხანი მოუწოდებოდა, შტრაუსი ექვის თვლით უყურებს მოთხრობას ქრისტეს აღდგომის შესახებ „მესამე დღეს“ და ჰფიქრობს, რომ ხმები აღდგომის შესახებ შემდეგში გაჩნდნენო. ამის წინააღმდეგ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ქრისტეს მოციქულები სულაც არ ყოფილან სუსტ ნერვებიანი ისტერიკები, როგორც ფიქრობენ ეს ავტორები; ესენი იყვნენ ჯმუხი, საღად მოაზრე მეთევზეები, რომლებიც არც თვითონ იყვნენ ნერვებ აშლილნი, არც სხვების მოჩვენება—მოლანდებისა სწამდათ რამე. ამასთანავე, ისინი სულაც არა ყოფილან აღელვებულ მდგომარეობაში, პირიქით სასოწარკვეთილები იყვნენ და ყველაფერს ელოდნენ, მხოლოდ არა მკვდრებით აღდგომას თავისი საყვარელი მოძღვრისას. რით უნდა აიხსნას ესეთი უცარი შეცვლა უღრმესი მწუხარებისა სიხარულათ და დარწმუნებათ, რომლებსაც არ დაუტოვებიათ ეს კაცები სიკვდილამდე, გადადიოდნენ მათგან ათას სხვა პირებზე და ამხნევებდნენ მათ ტანჯვაში და წამებით სიკვდილის დროს?

სახარებათა მოთხრობით, ამბების მიმდინარეობა დახლოვებით ასეთი იყო: პირველად საფლავთან მივიდნენ რადენიმე დედანი კვირას დილით. მათ საფლავი ცარიელი დახვდათ, ნახეს მხოლოდ ანგელოზი, რომელმაც აუწყა ჯვარცმულის მკვდრებით აღდგომა (მარკ. 16, 2-6). მათ შემინებულებმა მოიბრინეს პეტრეს და იოანესთან, რომლებიც გაეშურნენ საფლავისაკენ და ჰპოვეს იგი ცარიელი (იოანე 20, 2-10); შემდეგ ქრისტე გამოეცხადა მარიამ მაგდალინელს (მუხ 11-17), სემონ პეტრეს (ლუკა 24, 34), ორ მოწაფეს ემაოსის გზაზე (ლუკა 24, 13), თერთმეტ მოციქულს ორჯერ (იოანე 20, 19-29), და ხუთას მოწაფეს ერთად შეკრებილს (1 კორ. 15, 4-15). შემდეგ ამისა ის გამოეცხადა მოწაფეებს გალილეაში (მარკ. 14, 28) და ორმოცი დღის განმავლობაში ეცხადებოდა მათ, და ასწავებდა სასუფე-

ველისათვის ცათასა (საქმე მუც. 1, 2).

აქედან სჩანს, რომ აღდგომის მოწმეთ იყვნენ ძალიან მრავალნი დიდი ხნის განმავლობაში, ასე რომ აქ თავის, ან სხვის მოტყუებაზე არც კი შეიძლება ლაპარაკი. გაგონილა სადმე, რომ ერთი და იგივე მოჩვენება ასე ცხადად, ასე ხშირად, ასე ხანგრძლივად (40 დღეს) ეცხადებოდა აგრე ბევრ და სხვა და სხვა პირებს? ყოველი კაცი მოჩვენების ან სიზრმის მნახველი რომ მოდის ხოლმე გრძობაზე, აძლევს თავის თავს ანგარიშს ნახულის არა სინამდვილეზე. იგივე ჩვენება წარმოუდგებოდა ხოლმე არა ჩრდილის ან ნისლის სახით, არამედ აძლევდა ნებას შეხებისას (იოანე 20, 27) და ამბობდა გასაგონათ საკვირველ სიტყვებს (იოანე თთ 20-21), ზე იქჳოდა მათ შორის ისეთ საქმეს, რომლის გამოგონება არ შეეძლო არც ერთ ებრაელს, და რომელიც საუკუნეთათვის შეიქმნა ქრისტიანული ეკლესიის სამისიონერო ნიშნად (მათე 28, 19).

ვერადროს ვერც სხვის, ვერც თავისთვის მოტყუილება მოციქულთა ვერ მიგვყვანდა ამგვარ საკვირველ და საუკუნო შედეგთან. უნებლიეთ მიდიხარ იმ დასკვნამდე რომ, ეგრეთ წოდებული ბუნებრივი ახსნა ქრისტეს აღდგომის ფაქტისა უფრო მეტ რწმენას მოითხოვს, ვიდრე სახარების მოთხრობა ამ ამბისა.

ნაცარყანელი.

(შემდეგი იქნება).

**წერილი რედაქციის მიმართ.**

მცირე შენიშვნა

**ბ. ხელის მხილების ბაჲო**

(იხ. „ზინ. საქ.“ № 36).

ამ გვარი მაგალითებით კიდევ შევგვძლო გაგვეგრცვლებოდა ჩვენი შენიშვნა, მაგრამ ზემო აღნიშნულიც საკმაოდ ამტკიცებს, რომ ის სანატრელი „ერთნაირობა“, რომლის ვითომკდა ქვაშავეთის ეკლესიითგან განდევნისათვის ჩვენ გვამხილებს ბ. ხელი, არ არსებობს თვით საეკლესიო წიგნებშიც, და სწო-

რედ ამ წიგნებს შემოაქვთ ის „არეულობა“, რომელიც სუფევს დღეს სხვა და სხვა ეკლესიებში. ხოლო თუ ვინმემ მოინდომა ამ „არეულობის“ თავიდან მოშორება, იგი იძულებულია „ნება“ მისცეს თავის თავს და აირჩიოს: უხორცოთა ანუ უსხეულოთა, დაფლვისა ან დაკლვისა, სასოებითა ან კრძალულებითა, დღე ყოველი სრულიად ან დღე ყოველი აღსრულებად. ეს თავის თავად კანონიერი არჩევანი დაამყარებს ამა თუ იმ მღვდლის მიერ შესრულებულ წირვალოცვაში ერთნაირობას მაგრამ შეჩვეული ყური ამ ერთნაირობას ვერ მოითმენს: ის მექანიკურად დაჩვეულია პანაშვიდზედ „დაკლვის“ გაგონებას, ხოლო ანდერძზედ: „დაფლვისა“ და თუ პანაშვიდზედ „დაფლვისა“ გაიგონა „ახალსიტყვად“ მოეჩვენება.<sup>1)</sup> დაუმატეთ ამას ყოველად შეუწყნარებელი შეცდომები, რომელიც მრავლად ამშვენებს ჩვენს საეკლესიო წსგნებს და რომელთ გაუსწორებლობას ვერ მოითმენს ვერც ერთი გონების თვლით მკითხველი მღვდელი<sup>2)</sup> და დამეთანხმებით, რომ მარტო ყურის შეჩვევა, თუნდაც 50 წლის განმავლობაში, არ არის საბუთი წიგნების შეუსწორებლად კითხვისა და ხმარებისა. ჩვენის სიტყვების დასასაბუთებლად იძულებულნი ვართ მოვიყვანოთ რამოდენიმე ნიმუში:

1. თუმა ყველამ ვი ით. რომ თანაინი ერთხელ აღსრულება, მიიკლება, მაგრამ ჩვენს კონდაკში (სწორედ არა ეთიხელ ნახსენებ მოგვიდღენის კვერცხში) მაინც არის

<sup>1)</sup> ყოველად სამღვდლო აღესპანდრეს გარდაცვალება რომ გავიგეთ, სიონში პანაშვიდი გადავიხადეთ და კურთხევანი მე მომცეს წასაკითხავად; იკოსში „დაფლვისა“ წავიკითხე, ჩემს გვერდით მდგომმა მოძღვარმა გაიხსროს: „დაკლვისა, დაფლვისა“-ო..

<sup>2)</sup> თვით ბ. ხელი მოწმობს, რომ, შესწორებული კონდაკით“ წირვალოცვა უკვე გაისმის ეკლესიაშიო, განსაკუთრებით თბილისის ეკლესიებშიო. დარწმუნებით შევკვიპლიან ვთქვათ, რომ ყოველად სამღვდლო ბეტრეს თავისწიგნით შესწორებულის კონდაკით არც ერთი ამ მღვდლებთან არ ხელმძღვანელობს: ყველა მათგანი იძულებულია „თავის ნებაზე ამხინჯოს“ კონდაკი...

ამგვარი თხოვნა: „ქრისტიანობითნი აღსასრულნი ცხოვრებისა ჩვენისანი, უჭირველნი ურცხვენელნი“...

2. უფალი ჩვენი იესოქრისტე გვასწავებს, რომ ცოლქმრულ კავშირს აღგილი აქვს ამა ქვეყანაზედ და არა სიკვდილის შემდეგაო (ლუკა 20, 35), ჩვენი კურთხევანი კი გვეუბნება: „გვირგვინოსან იქმნების მონა ღვთისა და მხევალი ღვთისა სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, აწ და მარადის და უკუნიოი უკუნისამდე“-ო.

3. მსოფლიო ეკლესია გვასწავებს, რომ უფალმა იესო ქრისტემ „ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა“-ო, ჩვენი კონდაკი კი გვავალებს ვირწმუნოთ, რომ უფალმა იესო ქრისტემ „ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა“-ო...

რაც შეეხება სიტყვების გავლენას აღამიანის „შინაგან არსებაზედ“,—ვეჭვობთ შემდეგმა მაგალითებმა კეთილი რამ გავლენა იქონიონ თავის საუცხოვო ქართულით: 1, „რათა ყოველსა, რომელსა რწნენეს მისსა მიმართ, არა წარწყმდეს, არამედ აქვნდეს ცხოვრება საუკუნო“...

2. „ღმერთო... რომელმან გვერდისაგან ადამ პირველისა მამისა ჩვენისა კაცთმოყვარებითა შენითა დედაკაცად შესცვლე“.

3. „ქრისტემან ქეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან სული ჩვენგან მიცვალებულისა მონისა ღვთისა საყოფელსა მართალთასა დააწესოს, წიალთა შინა აბრაამისათა განუსვენოს“. ნუ თუ ამ გვარის მარგალიტების გასწორება ცუდ გავლენას იქონიებს და „სარწმუნოების აღდგენას“ შეუშლის ხელს?!

დასასრულ, ვერ გაგვიგია რისთვის დასჭირდა ბ. ხელს ამ ფრაზის დასტამბვა: „ჩვენ აზრად არა გვაქვს გავიკებოთ ვინმე ან კრიტიკა უყოთ ვისმეს“, როცა წერილის თავში მოათავსა შემდეგი სიტყვები: „კომოსიის ნასწორებია ეს შესწორებული კონდაკი, თუ კერძო პირებისაგან თავის ნებაზედ ნამახინჯები, არ ვიცით“. ნუ თუ ეს კრიტიკა (თუმცა ფრიად იაფფასიანი) და გაკიცხვა არ არის?

ჩვენ უფრო სასიამოვნოდ დაგვრჩებოდა, რომ ბ. ხელს ჩვენის „ნამახანჯებისათვის“ უფრო მკაცრი კრიტიკის თვლით შეეხედა და საბუთებით ხელში გავეკიცხნეთ, მაგრამ მან ეს არ ინება და იძულებულ გვყო, ეს შენიშვნა დაგვეწერა. მიუხედავად ამისა, მაინც სიამოვნებით წავიკითხეთ ბ. ხელის წერილი-მხილება ვინაიდან ამ წერილს უცქერით როგორც ნაწარმოებს სარწმუნოებისთვის გულშემატკივარის და მის აღდგინებისთვის მზრუნველის ადამიანისას, და ამისათვის მადლობასაც უძღვნი ბ. ხელს: იქნება მისი წერილის გადაკითხვამ იმოქმედოს და შესწორებულის წიგნების გამოცემას დროზედ ვედირსოთ. 1)

დ. კ. ცინცაძე.



**საქართველოს საკითხი  
პართლ-კახეთის სამღვდლოების  
კრებაზე.**

ეს მეორე თუ მესამე კრებაა, რომ ეს საკითხი ირკვევა და დაბოლოებას აღარა ეშველა რა. ამ კრებაზე ამ საკითხისთვის არა მოუმატნიათ რა, მხოლოდ სურვილი გაიმეორეს. განძრახულია სავალდებულო ოფიციალური გამოცემა რუსულ ენაზე ქართული განყოფილებით. ამ განყოფილებაში უნდა იბეჭდებოდეს მხოლოდ ქადაგებები, ყოველ კვირა—დღესასწაულებზე სათქმელი. განსაკუთრებულ კომისიის სმეტით ასეთ ორგანოს გამოცემას წელიწადში 8000 მანეთი სჭირდება, რომელსაც ქართლ კახეთის

1) ვარწმუნებთ ბ. ხელს, რომ მ. დიკონის მიზერა-მოხვრას არავითარ კავშირს არ აქვს შესწორებულ კონდაკთან, არამედ შედეგია ერთგვარის თავისებურებისა... თუმცა ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ „ხატისკენ მიბრუნება და პირჯვრის მიწერა“ არ უწინააღმდეგება ჩვენის ეკლესიის მოძღვრებას, არცა ტიბიკონს. თუ მარტო ის მივიღეთ მხედველობაში, რომ „ქრისტე უბილავად იმყოფება ტრაპეზზედ“, მაშინ უნდა გავაუქმოთ მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილება—დოგმატი და ხატები გავასვენოთ ტაძრებისაგან...

სამღვდელოება ვერ დააკმაყოფილებს, თუ ეს გამოცემა სავალდებულო არ შეიქნა იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიებისთვის, რაზედაც კრება შუამდგომლობს სათანადო მართებლობის წინაშე. გამოცემას სათავეში უდგია მთელი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს მღვდ. მ. ჩიჯავაძე, ყოფილი რედაქტორი ყოფილ წყალწაღებულ გაზ. „სიტყვისა“.

ბედნიერი განძრახვაა, თუ თქვენც დაგვემოწმებით, ბატონო მკითხველო! ოფიციალური სავალდებულო გამოცემა რუსულ ენაზე ქართულ ქადაგების განყოფილებით! უკეთესს რაღას მოიგონებს მეოცე საუკუნის ადამიანი და ისიც იმ გარემოებაში, რომელშიდაც დღეს სდგას ყოფილი ივერიის ეკლესია? ეტყობა ქართლ-კახეთის სამღვდელოებას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა ეჭირვება დღეს საქართველოს სამწყსოს და მწყემსთ. ოფიციალური განყოფილება მორწმუნეს შეატყობინებს სტაროსტამედავითნ-მღვდლების განწყობას და მათ დაჯილდოება-დაჩინოვნიკებას, ხოლო ქადაგებები დააკმაყოფილებს მის ზნობრივ მოთხოვნილებას და მეტი რაღა ჯანდაბაა საჭირო ჩვენ დროში? მაგრამ ავიწყდებათ ამ აზრის მოთავეებს, რომ მუქთა მკამელი სტაროსტები, მედავითნეები და მღვდლები ხალხს არ აინტერესებს, ვერ იზიდავს ტაძრებში სამოძღვროდ და ნეტა ვის წაუკითხავენ ეს ვაჟბატონები იმ მარგალიტ ქადაგებებს, რომლებსაც ადგილი ექნება განზრახულ ოფიციალურ გამოცემაში? რათ ავიწყდებათ ქართლ-კახელ მამებს, რომ ტაძრებში არავინ დაუარებათ და ხშირად არც თითონ დაიარებიან? კიდევ რომ დაიარებოდენ, მარტო ქადაგებით და ისიც საკათედრო ტაძრებში წარმოთქმულით, ვერ აღადგენ დაცემულ სარწმუნოებას, რადგან ყველას გულის არ სწვდება თქვენი ქადაგება. საჭიროა გამო-

ცემამ თავის შინაარსით დაინტერესოს ხალხი და სამღვდლოებამ მისცეს მას შესაფერი სარწმუნოებრივ—ზნეობრივი წიგნები და წიგნაკები. ხოლო ამას ვერ მიაღწევს განძრახული გამოცემა, რადგან იგი უცხო ენაზე იქნება და ხალხი მით ვერ ისარგებლებს. ამასთან კომისიამაც თუ ხელი შეუწყოს საქმეს და გამოცემას ის მიმართულება მისცა, რომელიც გაზ „სიტყვას“ ჰქონდა, მაშინ ხომ სამღვდლოების საქმეც კარგათ წავა... ვუსურვებთ ქართლ-კახელ სამღვდლოებას მეტი წინდახედულობა და გამჭრიახობა გამოეჩინოს ასეთ მძიმე საქმეში, როგორც განძრახული გამოცემაა. ხოლო რაიცა შეეხება დასავლეთ სამღვდლოებას, მას მხოლოდ შტიკი მოარხვეინებს ქედს ისეთ უკმაკურ გამოცემის წინაშე, როგორც არის ქართლ-კახეთის სამღვდლოების განძრახული გამოცემა.

ხელი.

### არტაბანის ძღვენი

(საშობაო მოთხრობა).

(თარგმანი)

იროდი მეფის დროს, როდესაც ბეთლემის ღარიბ გამოქვაბულში დაიბადა ქვეყნის მაცხოვარი იესო, აღმოსავლეთისაკენ ცაზედ უეცრად გამოჩნდა დიდი, წინად უხილავი, ვარსკვლავი. ვარსკვლავი ბრწყინვალედ ანათებდა და ნელ-ნელა მიდიოდა ერთი მხარისკენ იქით, სადაც ებრაელები სცხოვრობდნენ. ვარსკვლავთმრიცხველებმა ან, როგორც იმათ ეძახდნენ მაშინ, მოგვებმა მიაქციეს ყურადღება ახალ მნათობს. მათი აზრით, ეს იყო ღვთის ნიშანი, რომ სადღაც დაიბადა დიდი ხნის აღთქმული დიდი მეუფე, მხსნელი ხალხისა, მოძღვარი ახალი მართლის ცხოვრებისა. ზოგიერთმა მათგანმა, რომელნიც დიდად სწუხდნენ ხალხში ბოროტების გავრცელებისა და

ღვთის სიმათლის დაკლებისა გამო, გარდასწყვიტეს წასულიყვნენ საძებნელად ახლად დაბადებული მეუფისა, რათა თაყვანიეცათ და ემსახურნათ მისთვის. სად იპოვნინდნენ იმას, სწორეთ არ იცოდნენ: შეიძლება ბევრი სიარული მონდომოდათ, იმ დროს გზებში სიარული კი დიდი საშიშარი იყო;—ამისთვის იმათ მოილაპარაკეს, დანიშნულ დროს ერთად შეგროვილიყვნენ ყველანი ერთ ადგილას და ერთადვე წასულიყვნენ ვარსკვლავის ჩვენებით საძებნელად ახლად-დაბადებული დიდი მეუფისა.

სხვებთან ერთად მოემზადა წასასვლელად და თაყვანის-საცემლად სპარსეთის დიდი ბრძენი არტაბანი. მან გაჰყიდა თავისი ქონება, სახლ-კარი, და მოკებული ფულით იყიდა სამი ძვირფასი ქვა: საფირონი, ლალი და მარგალიტი. დიდ-ძალი ფული დახარჯა ამათში, და მართლაც მათი სიმშვენიერე საუცხოვო და იშვიათი იყო; მაშინ ანათებდა, როგორც მოწმენდილი ლურჯი ცა ზაფხულის ვსრსკვლავიან ღამეში; მეორე ბრწყინვალედ ენთებოდა, როგორც დილის ცისკარი;მესამე სითეთრითა სჯობდა მთის თოვლიან წვერსა. აი ყოველივე ეს, თავის სიყვარულით აღსავსე გულით, უნდა მიეტანა არტაბანს ძღვნად ახლად დაბადებულ მეუფის პატივისაცემლად.

გამომშვიდობა არტაბანი ყველა თავის მახლობელ მეგობრებს და გაუდგა გზას დანიშნული ადგილისაკენ, სადაც ყველა წამსვლელეები უნდა ერთად შეგროვილიყვნენ. კარგა შორს იყო, რამდენიმე დღე იყო იქამდის სავალი, მაგრამ არტაბანს მაინც არ ეშინოდა დაგვიანებისა. კარგი, მაგარი ცხენი ჰყავდა, დრო გამოანგარიშებული ჰქონდა და თვითეულ დღეს გადიოდა საკირო მანძილს. ბოლოს, მიუახლოვდა დანიშნულ ადგილს, რამდენიმე ვერსი-ლა დარჩა და ცხენს აჩქარებდა, რომ დროზე მისულიყო. ერთგული ცხენიც ცქვიტად აბიჯებდა ფეხებს; ღამის ნიავე სასიამოვნო სიგრილით ჰბერავდა. მალე ცის უფსკრულში, როგორც ბრწყინვალე კანდელი ღვთის ტრაპეზის წინაშე, ელვარებდა ახალი ვარსკვლავი.



— აი იგი, ღვთის ნიშანი! — ამბობდა თავის თავად არტაბანი, და ვარსკვლავს აშტერდებოდა. — დიდი მეუფე მოდის ჩვენდა ციდან, და მალე დაგინახავ შენ, უჟალო!

— ჩქარა გასწვი, ჩემო ცხენო! ნაბიჯს მოუმატე, — ფთარზე ხელის სმით ეაღერებოდა და ამხნევებდა თავის ცხენს არტაბანი.

ცხენიც უმატებდა სიარულს; მაღლა გაისმოდა მისი სწრაფი ფეხის ხმა ბზინი ტყის გზაზე. ღამის ბინდი თან და თან ილეოდა; აქა-იქ მოისმოდა გაღვიძებული ფრინველების კიკიკი. სასიამოვნო დილა დგებოდა. უცებ ცხენი შეჩერდა, დაიფრუტუნა და უკანდაიხია. არტაბანმა დაიხედა წინ, დაშტერებით დააქცერდა გზას და თითქმის ცხენის ფეხებქვეშ დაინახა გაწოლილი კაცი. ის საჩქაროდ ჩამოხტა ცხენიდან, მივიდა გაწოლილთან და დაათვალიერა. იგი აღმოჩნდა ებრაელი, რომელიც ძალზე დასუსტებულიყო ციებით. იგი მკვდარს უფრო ჰგავდა და ვერ გამოარჩევდა კაცი იმისაგან, თუ ხანდახან სუსტი ხმით არ ამოიკვნიესა.

არტაბანი დაფიქრდა: იმას სინიღისი ნებას არ აძლევდა დაეტოვებინა უპატრონოდ ცოცხალ-მკვდარი ავათმყოფი და თავის გზაზე წასულიყო; დარჩენილიყო, და მანამ იმას მოასულიერებდა და ფეხზე დააყენებდა დიდი ხანი გავიდოდა; დაუგვიანდებოდა დანიშნულ დროს მისვლა და სხვები უმისოთ წავიდოდნენ.

— რა ვქნა? ეკითხებოდა თავის თავს არტაბანი. — მივდივარ, — გადასწყვიტა მან, და კიდევაც შესდგა უზანგში ფეხი, მაგრამ ამ დროს ავათმყოფმა, რომელიც თითქოს გრძობდა, რომ უკანასკნელი იმედიც ეკარგებოდა, ისე მძიმეთ ამოიკვნიესა, რომ არტაბანს დიდად შეეებრაღა.

— ღმერთო მაღალო, — წარმოსტევა მან, შენ იცი ჩემი განზრახვა, შენ იცი, როგორ მოვილტვი შენდამი; დაბაყენე მე სწორე გზაზე. ვანა შენი სიყვარულის ხმა არ დაღადებს ჩემს გულში? მე არ შემძლიან დაეტოვო ეს

საცოდავი; მე პატრონობა უნდა გავუწიო ამ უბედურებრაელს.

ამ სიტყვებით არტაბანი მივიდა ავათმყოფთან, გაუხსნა ტანისამოსი, მოიტანა მახლობელი წყაროდან წყალი, გაუგრილა პირი-სახე და გამშრალი ტუჩები, ამოიღო წამალი, რომელიც თან დაესწრო, აურიო ღვინოში და ჩაასხა ებრაელს პირში; დაუხილა მკერდი და ხელები; მისცა სასუნებელი წამალი, და ამნაირათ ბევრი ხანი დარჩა ავათმყოფთან. დილა კარგა ხნის გასული იყო, მზე ძალზე წამოწეულიყო; თითქმის შუაღამე იქნებოდა, რომ ებრაელი ძლივს მოვიდა გონს, ადგა ფეხზე და არ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა კეთილი უცნობისათვის.

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხავდა არტაბანს ებრაელი. — მითხარი მე, ვისთვის უნდა ვილოცო მე და მთელმა ოჯახობამ, მანამ პირში სული გვიდგია? და რათ არის შენი სახე ეგრე მოწყენილი? რა გასაჭირი გადგია?

არტაბანმა დაღონებით უამბო თავის ამბავი, თუ სად მიდიოდა იგი, და რომ ეხლა უთუოდ დაუგვიანდა.

— ჩემი ამხანაგები, რა თქმა უნდა, წავიდოდნენ უჩემოთ, — ამბობდა ის, — და მე ვეღარ ვნახავ, ვეღარ ვიხილავ სანატრელ მეუფეს.

ებრაელს პირისახე სიხარულით გაუნათლდა.

— ნუ სწუხხარ, ჩემო კეთილისმყოფელო, შემძლიან ცოტათი მაინც გადავიხადო შენი სიკეთე. ჩემს საღმრთო წიგნებში ნათქვამია, რომ ღვთისაგან დაპირებული მეუფე სიმაართლისა დაიბადება იუდეველთა ქალაქ ბეთლემში. დაე, შენი მეგობრები წასულები იყვნენ; შენ წადი პირდაპირ ბეთლემში და, თუ შესსია დაბადებულია, უსათუოთ იქ ნახავ.

ებრაელი გამოემშვიდობა, ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა და წავიდა თავის გზაზე, არტაბანი უკან დაბრუნდა. მარტო თითონ ვერ გაბედავდა უდაბნოში მოგზაურობას; უნდა რამდენიმე მსაური წაეყვანა თავისთან, ეყიღნა აქლემები, წაეღო თან სანოვავე, წყალი. გავიდა ერთი კვირა, ყველა ამაო მოსაწყობად

გაჰყიდა ერთი ქვა; მაგრამ არტაბანი ამაზე ძალიან არა სწულდა: ორი ქვა კიდევ დარჩა. მხოლოდ-კი არ დაჰგვიანებოდა მეუფესთან მისვლა; და ამიტომ ის საშინლად ჩქარობდა, და აჩქარებდა მოსამსახურეებს. აი მივიდნენ კიდევ ბეთლემში. დაღლილი, გამტვრიანებული, მაგრამ ბედნიერი და მხიარული საჩქაროთ შედის ის პირველსავე სახლში და ეკითხება სახლის პატრონ ქალს:

— ხომ არ მოსულან აქ, ბეთლემში, უცხო კაცები აღმოსავლეთიდან, ვინ ინახულეს და სად არიან ისინი ეხლა?

სახლის პატრონი—ახალგაზდა ქალი ძუძუს აწოვებდა პატარა ბავშვს, და პირველად შეკრთა უცნობი კაცის დანახვაზე, შემდეგ დამშვიდდა და უამბო, რომ რამდენიმე დღის წინათ მოვიდნენ აქ ვიღაც უცხოელები, მოსძებნეს მარიამი, ნაზარეთიდან მოსული, და იმის ბავშს მიუტანეს მდიდარი საჩუქრები. მერმე სად წავიდნენ, აღარ ვიცი. იმ ღამესვე-კი ბეთლემიდან სადღაც წავიდნენ მარიამიც თავის ბავშვით; ხალხში ხმა დადის, რომ ისინი წავიდნენ ეგვიპტეში, რომ იოსებმა სიზმარში ჩვენება ნახა, რომლითაც ებძანა მას აქედგან წასვლა.

დედის ამ ლაპარაკში, ბავშმა ტკბილათ დაიძინა. წმიდა ღიმილი ისახებოდა მის მშვენიერ და უმანკო სახეზე. არტაბანს ჯერ ვერ მოეფიქრებია, როგორ მოქცეულიყო, რომ უცებ მოისმა ქუჩიდან ხმაურობა, ველური ყვირილი, იარაღის ეღრიალი და გულის ზემოირავი დედა-კაცების ქვითინი. შიშისაგან გულგახეთქილი, თმაგაწეწილი და თითქმის ნახევრად გახდილი დედა-კაცები საშინელის კივილით მოარბენინებდნენ თავიანთ პატარა ბავშვებს და გაჰკიოდნენ: „გვიშველეთ, იროდის სალდათები გვიხოცავენ ბავშვებსო!“

სახლის პატრონი ახალგაზდა დედა-კაცი გაფითრდა, თვალები გაუფანინებდა, მიიკრა გულში მძინარე შვილი და ამის თქმა-ლა მოახერხა:

— უშველეთ, უშველეთ ჩემ ბავშვს! უშველეთ და ღმერთი შენ გიშველის.

არტაბანი თავ დაფიქრებული მივიარდა კარებს. იქვე, კარებთან დამდგარიყო კიდევ

ჯარის უფროსი, მის უკან მოსჩანდნენ მხეცური სახეები ჯარის კაცებისა, რომელთაც ხელში ეჭირათ შიშველი ხმლები, უმანკო ბავშვების სისხლში მოსვრილი. არტაბანმა საჩქაროთ უბეში ხელი ჩაიყო, ამოიღო ერთი ძვირფასი ქვა და მისცა ჯარის უფროსს.

— შენი იყვეს ეს ქვა და წალი აქედგან; დაანებეთ თავი ამ დედა-კაცს და მის შვილს.

მას თავის დღეში არ ენახა ამისთანა ძვირფასი განძი, ხარბად მოჰკიდა მაშინვე ხელი ქვას და მსწრაფლ წაიყვანა თავის ჯარი სხვა ადგილს საშინელი საქმის აღსასრულებლად. დედა-კაცი დაეშო პირქვე არტაბანის წინ და მთრთოლარე ხმით ეუბნებოდა:

— გაკურთხოს ღმერთმა ჩემი ბავშვის გადარჩენისათვის. შენ ეძებ მეუფეს სიმართლისას, სიყვარულისას და სიკეთისას, მან გიშველოს შენ, და გიყუროს მარადის იმ სიყვარულით, რომლითაც მე შენ გიყურებ ეხლა.

ფრთხილად ააყენა ფეხზე ქალი არტაბანმა, და ცრემლები სიხარულისა გადმოსცვივდა მას თვალებიდან. „ღმერთო ქვეშარტებისაო, მაბატე! ამ დედა-კაცისა და მის ბავშვის გულისთვის მივეცი ის ძვირფასი ქვა, რომელიც შენთვის მქონდა მომზადებული. განა ვნახავ როდისმე შენ სახეს? მე კიდევ აქაც დავიგვიანე. წამოვალ შენ საძებნელად ეგვიპტეში.“

ბევრი იარა საცოდავმა მოგვმა სიმართლის მეუფის საძებნელად; გაიარა მან ბევრი ქვეყნები, ბევრგვარი ხალხი ნახა, მაგრამ ვისაც ეძებდა, ის ვერ ნახა. მწუხარებით იყო შეპყრობილი მისი გული; არა ეუთხებლ უტირნია მას ცხარე ცრემლით. „უფალო!—ჰფიქრობდა ის,—რამდენია ყველგან ტანჯვა-წვალება, უბედურობა! როდის გამოუჩნდები შენ ხალხსა და შეუშუბუქებ მას ცხოვრებას?!“

თითონ არტაბანი, რაც-კი შეეძლო კეთილ საქმეებს შერებოდა ექიმობდა ავათმყოფებს, ღარიბებს შველოდა (პირველი გაყიდული ქვიდგან იმას ბევრი ფული დარჩა), ნუგეშს სცემდა უბედურებს, ნახულობდა ტუხალებს და ასეთ შრომაში გარბოდნენ წლები. უკანასკნელ მარგალიტის ქვას ის ფრთხილად

ინახავდა და ჰფიქრობდა, ეს მაინც მიეტანა ძღვენად მეუფისთვის, როდესაც იპოვნიდა.

გავიდა ოცდა სამეტი წელიწადი, რაც არტაბანმა დასტოვა სამშობლო. ტანი მისი მოხარა, თმა გაუთეთრდა, თვალის სინათლე გამოეღლია, ფეხები და ხელები დაუსუსტდა, მის გულში-კი ძველებურად ძლიერად ენთო ცეცხლი სიყვარულისა მისდამი, ვისაც ამდენი ხანი ეძებდა. ყური მოჰკრა მოხუცებულმა მოგვმა, რომ იუდეაში გამოჩნდა ღვთის დიდი მოციქული, რომ იგი დიდ სასწაულებს შერგება: მკვდართა აღადგენს, განგდებულ ცოდვილებს და საშინელ ბოროტის-მოქმედთ წმინდანებად ჰყოფს.

სიხარულით აძგერდა დაღლილი გული არტაბანისა.

„ეხლა-კი, — ჰფიქრობს ის, — გიპოვნი შენ და გემსახურები!“

შიდის იუდეაში.... მთელი ხალხი მიეშურება იერუსალიმში პასეკის დღესასწაულზე. იქ არის წინასწარმეტყველი იესოც, რომლის ნახვა საშინლად სწყურიან მოგვსა. სხვა მლოცველებთან ერთად მიახწია არტაბანმა წმიდა ქალაქს, და ჰხედავს ქუჩებზედ ხალხის ნიაღვარი გაუჩერებლივ საითყენდაც მიისწრაფვის; ყველანი მიეჩქარებიან, ერთი-მეორეს ასწრობენ.

— სად მიეშურება ეს ხალხი? — ჰკითხულობს არტაბანი.

— გოლგოთაზე! ეს სახელი ჰქვია ქალაქ გარეთ ერთ მაღალ სერს. იქ დღეს ჯვარზე უნდა აცვან ორ ავაზაკთან ერთად იესო ნაზარეტელი, რომელიც უწოდებდა თავის თავს ძედ ღვთისად, და ურიათა მეუფედ.

დაეცა მიწაზე არტაბანი და იწყო მწარე ქვითინი.

— კიდევ დავიგვიანე! მე უბედური უთუოდ ვერ გნახავ შენ, უფალო! ვერც გემსახურე შენ, მაგრამ შეიძლება კიდევ არ იყვნეს დაგვიანებული, მივალ მის მწვანელებთან, მივცემ მათ ჩემ მარგალიტის ქვას და, იქნება, დაუბრუნონ მას თავისუფლება და სიცოცხლე.

წამოდგა არტაბანი და რაც-კი შეეძლო გაეშურა ხალხთან ერთად გოლგოთაზე. გზაზე დაინახა მხედრები, რომლებიც იშვიათი სილამაზის ქალს მოათრევდნენ სატუსალოში. ქალმა დაინახა მოგვი, ტანისამოსით იცნო სპარსელი და მოსქიდა კალთაზე ხელი.

— შემობრალე! შეეხვეწა ქალი. გამათათავისუფლე, მე თქვენი ქვეყნისა ვარ. მამა ჩემი მოვიდა აქ სავაქრო საქმეებზე, მომიყვანა მეც, შემდეგ ავით გახდა და მოკვდა. მამა ჩემის ვალში მე ეზლა უნდა გამყიდონ და გამაუბატორონ, მიშველე! ამაშორე გაუბატოურება, გვედრეები, მიშველე!

ამ სიტყვების გაგონებაზე აკანკალდა მოხუცი მოგვი. წინანდელი ბრძოლის გრძობა, რომელიც გამოსცადა ბზიან ქალაში ებრაელთან და ბეთლემში ბავშვების გაუღეტის დროს, ხელმეორედ გავლენდა მას გულში — შეინახოს ძვირფასი ქვა დიდი მეუფისათვის, თუ მისცეს იგი უბედური ქალის გამოსახსნელად. სიყვარულმა და სიბრალულმა საცოდავი ქალის მიმართ თავისი გაიტანეს: ამოიღო არტაბანმა უბიდან უკანასკნელი მარგალიტის ქვა და მასცა იგი ქალს.

— აი შენ გამოსახსნელად, ჩემო შვილო! ოცდასამეტი წელიწადი ვინახავდი ამ საუნჯეს, ძღვენად უნდა მიმერთმია ჩემი მეუფისათვის. სჩანს, ღირსი არა ვარ მას ძღვენი მივართვა.

მანამ ის ლაპარაკობდა, ცა შავად მოიღრუბლა; დღის სინათლეში სიბნელე ჩამოეშვა დედამიწაზე; მიწა ინძრა; ცამ დაიქექა, ელვამ გააპო იგი ერთი ნაპირიდან მეორემდის, მოისმა ტაკანი, სახლები შეინძრა, კედლებმა ზანზარი დაიწყეს, დაიხრიალეს და ქვე სეტყვა-სავით წამოვიდა. ერთი ქვა მოხუც არტაბანს მოხვდა და თავი გაუტეხა. თავრეტ დასხმული მოგვი დაეცა მიწაზე ფერ-მიხდილი და სისხლში მოსერილი. ქალი დაეხარა, რომ ეშველა რამე. არტაბანმა ტუჩები შეანძრია და რალაც წაიწურა; თვალები გაახილა; იგინი სიხარულს აევსო; პირისახეზე წყნარი ღიმილი ეტყობოდა. თითქოს იგი, მომკვდავი, ხედავდა ვიღაც უხილავს თავის წინ და ესაუბრებოდა

მას. ქალმა ყური დაადო მოგვს და გაიგონა, როგორ ჩურჩულებდა იგი მისუსტებული ხმით:

— უფალო, როდის გნახე შენ მშვიერი და მოგეცი საქმელი? როდის გნახე მწყურვალნი და დაგალევინე შენ? როდის გნახე შენ მგზავრი და დაგაბინავე, შიშველი და შეგმოსე? ოც და ცამეტი წელიწადი დავდიოდი ერთი ქვეყნიდან მეორეში, გეძებდი შენ და ვერც ერთხელ ვერ ვნახე შენი სახე, ვერ გემსახურე შენ, ჩემს მეუფეს, ამ ქვეყნად.

მოხუცი გაჩუმდა... იმისი გული ოდნავ-დასცემდა. ჩამოწოლილ ღრუბლებში გამოსხლტა მზის სხივი და შეაშუქა მოგვის პირი-სახეს. წყნარმა ნიავმა დაჰბერა, და ნახად ააფრიალა მომაკვდავის თმა, და ამ ქართან ერთად, თითქოს იმან მოიტანაო, საიდგანდაც მალღიდგან მოისმა ალერსიანი ხმა:

— ქეშმარიტად გეტყვი შენ: ყოველივე ის, რაც უყავ შენ გაქვიერებულ ძმას, მე მიყავ!

არტაბანის სახემ ფერი იცვალა: მას დაადგა ბეჭედი დიდი მშვიდობისა და თვით ბრწყინვალე, სრული სიხარულისა; მოგვმა მთელი მკერდით მსუბუქად ამოისუნთქა, მადლობით მიაპყრა თვალები ზეცას და საუკუნოდ განისვენა. ვათავდა დიდი ხნის მოგზაურობა მოხუცი მოგვისა; ბოლოს იპოვა არტაბანმა მაცხოვარა; შეწირულ იქმნა იმისი ძღვენიც. *ამის წაქიფივამ მიზაზყონს ქვეყნითი აქვე უნდა თქვას...*  
მღ. იოანე ლუკიანოვი.

### შეყუარდილე!

მეგობრო! ადექ, ნუ თვლემ,  
ადექ, ნუ გძინავს,  
სინემ ეამი ეამობს შენთვის  
და დღე გიბრწყინავს...  
ღვთის ხატებსა ნუ გარდაქმნი  
„უხმარ მონათა“,  
იმოდეაწე ღვთის და კაცის  
მოსაწონათა.  
საწაღმართო შრომას თუ რომ

შენ თავს ვალათ სდებ,  
დღეის საქმეს სახელით  
ნულა გადადებ.

ხომ ხედავ, რომ ბოროტება  
ფრანავს, ნავარდობს,  
იას ნაცვლად ანწლი იობს.  
ანწლივე ვარდობს?

ქვეყნის მტერი, სულთამხუთი  
მოსაგერია.

აგერ ძმაც რომ გედრიჯება  
თურმე მტერია!..

დღეს ვისმეს ძვირს გათქმევინებს,  
ხვალე დაგასმენს;..

მტერს, მეგობარს გადაგვიდებს,  
გაგცემს, დაგაქცევს;

ცბიერობით რასმე გკითხავს  
ეგ საძაგელი,—

„დასდევ საცო პირსა შენსა  
და კარი ძნელი“...  
თუ რამ ნახო ქვეყნისათვის

მოჭირნახულე,  
მიემხრე, და შენი აზრიც  
შეუხმატკბილე.

ბოროტების, ღვარძლის მთესველს,  
მკაცრათ ამხილე,

შეუღრინე, შეუყეფე,  
შეუღარდილე!

რ. საჯავაძელი.

### რას ამბობენ შესანიშნავი ადამიანები

ბიბლიის შესახებ? \*)

ა. ფილავისა.

ბიბლიის სკრთო მსოფლ-მხედველობა გვამცნევს, თუ რა აზრი აქვს ქვეყნის აჩსებობას და კაცობრიობის ქვეყნად ცხოვრებას; გადაჭრით ჰა სუხს აძლევეს კითხვას: რა არის ქეშმარიტება?

ბიბლიის იდეალი გვამცნევს ქვეყნის ცხოვრების საბოლოო მიზანს და განსაზღვრულ პასუხს აძლევეს კითხვას კაცობრიობის ცხოვრების გონიერ მიზნის შესახებ.

ბიბლიის ზნეობრივი მოძღვრება იძლევა ცხოვრების მწვეობრ ტიპსა, შეთანხმებულს ღვთის სი-

\*) იხ. „იხ. საქ.“ № 36.

მართლის საუკუნო ჯეშმარიტებასთან და გადაჭრად მასუს გვაძლევს კითხვაზე: როგორ უნდა იცხოვროს გონიერად და სიწმიდათ ისე, რომ თითოეულ დღეში, საათში და წამში იმალებოდეს საუკუნო აზრი, მომცემი ცხოვრების უფლებისა.

დამჩნა რავდენიმე სიტუაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვკითხულობდი ბიბლიას. ჩემთვის ცხადია იყო, რომ **განცხადების** ცხოველ-მოთხოვნულ სულს მთელი მისი მწიფობრი ერთიანობით ვერ შევიგნებდი, თუ არ წაგვიკითხავდი ბიბლიას თავიდან ბოლომდე ღრმად დარწმუნებული, რომ „მომავალდინებელ ასოს“ საფარველ ქვეშ ვიბრუნებდი ცხოველ-მოთხოვნულ სულს. წაგვიკითხავ ბიბლიას ზარვლად, როცა ჯერ კიდევ არ გაქვს მთელი წარმოდგენა ღვთის სიბრტლის საუკუნო მწიფობრი ჯეშმარიტებაზე; კითხვა ისე, რომ მხურვალედ გწამდეს ის, რაც **არის იგი**, ეს მწიფობრი ერთიანობა ცხოველ-მოთხოვნულ სულს; კითხვა ისე, რომ არ შეგაშთოთხთხოს მომავალდინებელმა ანბანის საგანებელ წინააღმდეგობამ და სიჭრელემ: კითხვა, არ ვიტყვი მათმინებით, არამედ ისეთი მხარეული მთრთოლვარე ურადღებოთ. ვით ადამიანი, რომელმაც ბნელ და მურად მიწის ქვეშეთში იგრძნო ნაკადი წმინდა ჭიკრისა, შემდეგ დაინახა სუსტი სხივი შორეულ სინათლისა და ამ ნიშნებით მისიარულად მიადგა ბოლოს უმჯველ გზას, გამოსავალს საზიზღარ ლაბირინთოსკან; კითხვა ამ გვარად ჩემთვის ძნელი არ იყო. სხუანაირად კითხვა ჩემთვის შეუძლებელი იქნებოდა.

თითოეული სიტუაცია „ცხოვრების წიგნისა“ ჩემთვის ისე ძვირფასია იყო, როგორც გამოძახილი შორეულ სამშობლოსა და მე რომ სულთერ წყურვილით მომეშარა არ ვუთიღოთუ მანინც არ შემიძლო უარი შეთქვა ამ სულთერ სიამოვნებისათვის.

სანამ ვკითხულობდი სიუარულითა და სარწმუნოებით, მოწიწებითა და მადლბობით, სულის განცხრობით ადმასებელ სინათლედ და მხურვალეობისათვის, ცხადად შესმოდა ცხოველ-მოთხოვნული სული ასოს გარეგან გარსში და ჩემი სული სუნთქვდა საუკუნო ცხოვრებას. როცა რუტინა აზრთა, თავზედ-მოხვეული ცხოვრებისა და მეცნიერებისაგან, მიაძვლებდა მწიგნობართა ჩვეულებისამებრ აზროვნებას, ჩვეულებრივად მომავალდინებელ ასოს, ეჭრიდა მას და აი ჩემ წინ იდგა ციფი ღეშა გან-

უენებულ აზრისა და სულს მიყინავდა სამარის სიციფი; ძრწოლა და შიშის ზარი მიჩვენებდენ, რომ დავტოვე კეთილი გზა და მეც კვლავ ვეძებდი სინათლესა და მხიანულებას და კვლავ ვწერებოდა ჯეშმარიტ გზას. გადავწვიტე შეკითხვა სდღვთო წერილი ბავშვივით, რომელსაც არ სჭირთა მეცნიერული წერილება და რთული აზროვნება, რომ გაიგოს დედის სიტუაცია, აზრი და გრძობა. მაცხოვარმა სთქვა: „უკეთუ არა იქმნეთ, ვითარცა ეშანი, ვერ შეხვდით სსუვეველსა ცათას“. თუ არ მივიღებთ საუკუნო ცხოვრების სიტუაცებს ისე, როგორც ბავშვები დებულობენ დედის სიტუაცებს: სიამაღლოთ, სარწმუნოებით და სიუარულით, ვერ შევიგნებთ ცხოველ-მოთხოვნულ სულს და არ ავცნებთ უნაყოფო უკზო-უკვლოდ ხეტიალი „მომავალდინებელ წიგნისა“ დაბირინთოში.

ზოგჯერ „მომავალდინებელი ასო“ თავზერს მეცმდა ისეთ არა კაცობრიული გამბედაობით, ხან შიშველ შეუხ მებელ სიბრტლით, ხან წმინდა ადმო-სავლურიფიკაციოფან მხატვრობით, რომ ერთს წამს დაჩრდილავდა ცხოველ-მოთხოვნულ სულს, მაგრამ სარწმუნოება გადასწევდა ამ შემკობილ სახვეველსაც და კვლავ გამომიბრწვიანდებოდა ცხოველ- მოთხოვნული სული.

ზოგჯერ მომეხვეწებოდა აზრთა ურთიერთ-შორის წინააღმდეგობა და შეფძრწუნდებოდა, მაგრამ სარწმუნოება არ მისუსტდებოდა და ვეკლა ეს წინააღმდეგობაც თან და თან ჭარმინილად შეიწივებოდა.

რავდენსაც ვკითხულობდი, იმდენად მემატებოდა შეგნება ღვთის ხურთ-მოდურებისა და შეგნებული რწმენა ცხოველი ღვთისადმი უფრო და უფრო მეტი სიხარულით მივსებდა სულს. გამოცდილებით შევიტყუე თუ რას ნიშნავს სმა წყაროსკან წელისა ცხოველისა, როცა სული მომეშარა ცხელ და მტვრიახ მშრალ უდაბნოში ხანგრძლივი მოგზაურობით, როცა წავაკითხე უკანასკნელი გვერდი „ცხოვრების წიგნისა“ ქვეყნის ტადრი ბრწყინავდა ჩემ წინ **უზენაესი გონების** წინასუკუნეთა აზრის გამოთქმული დიდებულებით და ცხოველ-მოთხოვნულ სიუარულით შთაგონების დამაბრმავებელ-სიმშენიერით“<sup>15)</sup>

<sup>15)</sup> Н. Н. Неплюевъ, „что есть истина“, Лейпцигъ. 1898 г.

დავასხედით ზოგიერთი ხელაწიების მსახურ-  
რიც. ცნობილი მსატვარი ბარბი მ. პ. კლოდ-  
ტი (1835—1902 წ.) როცა აღრიცხავს წიგნებს,  
რომლებსაც გაუღენ იქონიეს მის ხელაწიურ გან-  
ვითარებაზე, სხვათა შორის შენიშნავს: „ბიბლია  
დიდი ხნის განმავლობაში ფრიად საუკარელი საკი-  
თხავი იყო ჩემთვის“. 1)

დიდად ნიჭიერი მსატვარი ლიუდვიგ რიხ-  
ტერი (1803—1884 წ.), ახლგაზდობაში ურ-  
წმუნო, შემდეგ შეიქმნა მოწიწებით თავგანისმცემე-  
ლი ბიბლიისა. თავის დღიურში 5 იანვ. 1825 წ.  
იგი სწერს: „ახლა ბიბლია ჩემთვის ერთად ერთი  
წიგანია. იმის შემდეგ, რაც საღმრთო წერილმა და  
მხურვალე ლოცვამ გამოდგამს სარწმუნოებას, ჭეშ-  
მარიტად ბედნიერი ვარ. მხოლოდ ახლა ვცოცხლობ  
მე, როცა ვაძიებ მუარს, ერთად ერთი ჭეშმარიტი  
გზა ცხადდება“.

დავითათ ჩვენი მამოხილვა სახელმწიფო მო-  
ღვაწეობით.

გადმოგვცემენ, რომ ზრუსიის მეფის ფრიდ-  
რიხ დიდის (1712—1786 წ.) ერთი მეგობართა-  
განი, მაშინდელ ცნობილ ფრანგ ფილოსოფოსების  
წრეში, მთიდან ქადაგებას არჩევდა და მეფეს წინა-  
აღუდგა. „საუკარელო, — უზასუსა ფრიდრიხმა, — ქრი-  
სტეს რომ მარტო ერთი ფრანგა წარმოეთქმა:  
„რაღაც გნებოთ, რათა გიყონ თქვენ კაცთა, გე-  
რეთვა თქვენ ჭკუთ მათდა მიმართ“, (მათ. VII,  
12), ამით იგი უფრო მეტს იტყოდა, ვიდრე თქვენ  
მთელი თქვენი ფილოსოფიით“.

ონ. მჭირი.

შემდეგი იქნება

**X**  
**ლია ფერილი**  
გაზ „დროების“, რედაქტორს.

ბატონო გაზ „დროების“, რედაქტორო! ამა  
1909 წ. მე თქვენ ქ. შემახიდვნი გამოგვიგზავნეთ  
დაზღვეული წერილი და გახილეთ სულ უბრალო  
და უკვლად უფრებელ ცნობებს შესახებ წერილისა:  
„მიხეილ გაჩეილასძე და მისი თხილება“, რომელიც

1) Мнѣнія русскихъ людей о лучшихъ кни-  
гахъ для чтенія. сп. б. Лелерле стр. 43.

გამოგზავნა დასბეჭდათ „დროების“ რედაქციაში  
ბ-მა „რისხვამ“ და რომელიც თვისი შინაარსით  
შემეხებოდა მე, როგორც ხსენებული ვაგბატონის  
მიხეილ გაჩეილასძის, ჩაჩუღ კლანჭებში გაბმულს.  
იმ წერალითვე გაახლეთ მე თქვენ ერთი შვიდ კა-  
პეიკიანი მარკა ზასუხისათვის, მარკამ არავითარი ზასუ-  
ხი არც კერძო წერილით და არც გაზ. „დროების“  
საშეაღებით მე თქვენ არ მადრსკეთ, თუმც მას  
აქეთ ორ თვეზე მეტი გავიდა.

აღნიშნული ფაქტი ბეგრ რამეს გვასწავლის,  
ამისათვის ფრიად საჭიროდ მიმაჩნია და თითქმის  
მოვალედაც ფრაც ჩემ თავს მოვიყვანო ის უტ-  
ეუარი და დიდმნიშვნელვანი დასკვნანი, რომელიც  
ამ ფაქტისავე ლოდიკურ შედეგს წარმოადგენს.

ა). უბრალო ზრდილობა მოითხოვდა, რომ  
თქვენ რაიმე ზასუხი მოგეცათ ჩემთვის. ზნე-  
ბრივი მოთხოვნილება ესე ორკეცდება მით უმეტეს,  
რომ მე თქვენ ზასუხისათვის შვიდ კაპეიკიანი მარ-  
კა გამოგვიგზავნეთ. ამ საანბანო, ბავშურ და ელე-  
მენტარულ ზნეობრივ მოვალეობას თქვენ თამამად  
და მოურდიებლად გვერდი აუხვიეთ, აქედან კი ის  
დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ თქვენ, ბატო-  
ნო რედაქტორო, ზრდილობასთან მწერლად  
ბრძანებულხართ, რაშიდაც მე ესხა დრმად დარწმუ-  
ნებული ვარ და რაზედაც ესხა მე უკვლა მატისა-  
ნი ადამიანიც დ. მეთ. ნხმებს.

ბ). მე სარწმუნო და უტეუარი წარმოებიდან  
გაგებული მაქვს, რომ ბ-ნი „რისხვა“ ორი თე  
სამი წელიწადი უგონობრათ თანამშრომლობას  
უწევს „დროების“ რედაქციას და ამ ხნის განმ. ვლო-  
ბაში უკვლა მისი კორესპონდენციება თითქმის უც-  
ვლელად იბეჭდებოდა. ესხა-კი, როდესაც „რისხვამ  
თვის კორესპონდენციაში აღნიშნა მიხეილ გაჩეი-  
ლასძის მეუახშობითი მოქმელობა, მაშინ თქვენ, ბა-  
ტონო რედაქტორო, უხერხულად მიიჩნიეთ მისი  
დაბეჭვდა. რადგან თქვენ ერთი ბეწო ადგილი არ  
და თმეთ გაზ. „დროებისში“ მეტად საუურადღებო  
და ტიბიურ მოვლენას, რომელიც ხათელსა ჭეფნდა  
თქვენი კარგი ნაწინობის, ცნობილი უთილი საძა-  
გული დვინის ვაჭრის, მის: გაჩეილასძის ჩაჩუღ  
მოქმედებას, მაშასადამე თქვენ ამ შემთხვევაში  
ხელმძღვანელობდით, როგორც რედაქტორო, — მე-  
ვობრობით, ხაწინობით, ჰორადა მასაზრებისა  
და სარკებლობით და არა უმაღლესი კანტობრიული

იღებოთ და მოსაზრებით, რაც დიდ და უზარმაზარ დეპრესიას უნდა ჩაითვალოს თქვენ საზოგადო მოღვაწეობაში.

შეიძლება, რომ თქვენ, ბატონო რედაქტორო, დაუხშეთ სიმართლეს ცხა და მიეცით საშუალება ჩარჩნ უტიფრად და უსირცხვილად შესრულოს მეტყველებით მიღებული და ცნობრებაში შესისხლ-ხორცებული მეგობრებისადმი უმგვანო მისწრაფებანი.

გ). თქვენ არ ინებეთ, რომ ცაზ. „დროებაში“ უოგლად უფნებელი ჭეშმარიტება დბუქლილიყო ასადაგმავად ბოროტებისა, მაშასადამე თქვენ, ბატონო რედაქტორო, გაურბიხართ ჭეშმარიტების გამოქვეყნების ზრინციბს.

სხვათა შორის, ეს იმათაც მტკიცდება, რომ თქვენ, ახსენით რა თქვენებურად ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჩვენი უშესანიშნავეს ჰელაგოვის ი. გოგებაშვილისა, არ ინებეთ დაკეთოთ ადგილი ცაზ. „დროებაში“ ი. გოგებაშვილის წერილისათვის ბნი გოგებაშვილი, როგორც სიკუთარ ორგანის მოკლებული, იძულებული იყო სამედიტორო სამართალში გამოეწვიეთ თქვენ გადასწვევტად აღძრული კითხვისა, მაგრამ თქვენ მეტად მარტივად შეუთვალეთ ჩვენი თანამედროვე ჰელაგოვის უზარკველეს წარმომადგენელს შემდეგი: „არა, ბატონო იაკობ, სამედიტორო სამართალში ვერ გამოგვევითოთ სხვა მასუ.ი თქვენგან არც მოსალოდნელი იყო.

დ) ეურბე გამოგვიტედე თქვენ, ბატონო რედაქტორო, ბეჭდვითი სიტუვის თავისუფლების აუცილებლობის შესახებ, ჰკიცხვთ ხშირათ ადმინისტრაციის განკარგულებას ცაზკოების თავისუფლების შეზღუდვისათვის და ამავე დროს პირველათ თქვენვე გზობთ თქვენსაკე სიტუვს და ადგილს არ უთმობთ „დროებაში“ ისეთ ფაქტს, რომელიც არ არის მოკლებული საზოგადოებრივ მნიშვნელობას და მასთანვე არც რედაქტორს მოედის ამ შემთხვევაშიდ რამე ხიფათა. კათეგორიულად შემოიღია ადვიარო, რომ მთელ დიდ და სუქმაოდ ვრცელ რუსეთის იმპერიაში ვერ იბთენით ისეთ ზოლიციის ან სხვა უწევების მდაბალ ან მათად მოხედეს, რომელსაც „რისხვა-ს“ წერილის წკითხვის შემდეგ ოდნე მანც გაუელოს აზრმა რედაქტორის ადმინისტრაციულად ან სხვა

გზით დასჯისა. სჩანს, რომ თქვენ ზრინციბიალურად იმისათხა ჭეშმარიტების გამოქვეყნების მიმდევარი ბრძანებულხართ, რომლის გამუღვენებით თქვენი შეგობრის ზირადი სარგებლობა ოდნეავც არ შეიღახება. უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ კარგათ გქონიათ შეგებუღი, ბატონო რედაქტორო, ბეჭდვითი სიტუვის თავისუფლება! როგორც სჩანს, თქვენ ძალა-უნებურად სხვის ფეხის ხმას მისდევთ და ეს გარემოება გალამარაკებს ხან-და-ხან ბეჭდვითი სიტუვის თავისუფლებასზე. ვათავებ რა ამ ღია წერილს, ბატონო რედაქტორო, მე ვაძლეე ჩემ თავს ნებას გაცახსენოთ ქართული ერის გულან სიდრმადგან წარმომობილი აზრი, რომელიც მთელი საუკუნეების გამოცდილებითაც დადასტურებული განლაკთ: „მოუვარეს ზირში უზრახე,—მტერს ზირს უკანა“

ბაგრატ მკელლიძე.

შეცდომის განსწორება: „შინ საქ.“ № 36, 12 გვ. შეგვპარვია შემდგვი კორექტურული შეცდომები: ვ-მე მუზლში სწერია: დაშემავალთა, უნდა იყოს შემავალთა; დსცუნი—დაცუღნი; ვმცხემობთ—ვსხემობთ; თაცვანიქცეს—თაცვანი ჰ ცეს; ათეთერთმეტნი—ათერთმეტნი; მეორგულდეს—შეორგულდეს; სოქვა—ჰოქვა; შეუღვლილსა—შეუღვლილთა; მეორედ—მეორის; ქორწინების—ქორწინებით; ვგალობთ—ვგოდებთ. 10 გვ. თეფარა—დაეღარა. 11 გვ. მეორე სტრიქონში, აღეასრულოთ—აღუსრულოთ.

№ 35 გვ. 10, ნათქვამია—მართალია.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მგებლიძე. გამომკვეილი იოსებ ლეჟავა.

**რედაქცია**  
**უპორჩილენად სთხოვს**  
**ხელონ მთავრებს**  
**წარმოადგინონ ამ ღლის**  
**ხვედრი ფასი**

Открыта подписка  
на ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ журналъ

„**ВЕСЬ МІРЪ**“  
въ 1910 году.

Журналъ издается при участіи лучшихъ литературныхъ и художественныхъ силъ — по типу иностранныхъ литературныхъ еженедѣльниковъ.

По богатству и разнообразію матерьяла „ВЕСЬ МІРЪ“ является первымъ въ Россіи иллюстрированнымъ еженедѣльникомъ.

Въ программѣ журнала все отдѣлы толстыхъ журналовъ.

**ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ФЕЛЬЕТОНЪ**  
Новости русской и иностранной художественной жизни. Новости науки и искусства. Снимки съ картинъ, портреты, фотографіи, рисунки, шарки, карикатуры и проч.

Пробный № высылается за одну 7-копѣчную марку.

Подписка на „ВЕСЬ МІРЪ“.

1 годъ — (52 №) — 2 р. 50 к.; 6 мѣс. — 1 р. 25 к.; 3 мѣс. — 70 к.; 1 мѣс. — 25 к. — съ доставкой и пересылкой. За перемѣну адреса подписчики уплачиваютъ 15 коп. Разсрочка допускается для годовыхъ подписчиковъ: 1 р. при подпискѣ, 1 р. къ 1 марта и 50 к. къ 1 июля.

Пріемъ подписки и объявленій въ конторѣ журнала

„**ВЕСЬ МІРЪ**“

Москва, Никольская, домъ Чижовскаго подворья.

Годовые подписчики журнала „ВЕСЬ МІРЪ“ на 1910 г. получаютъ бесплатно все номера журнала, вышедшіе въ 1909 г.

(3—1)

ქუთაისში იანვრიდან 1910 წ. გამოვა

იუმორისტული აღმანახი

„**ქიხკა**“

მიიღება სათხუნუო წერილები და ლექსები  
შემდეგი ადრესით: კუთაის, типографія  
„братства“ — Алманахи.

Типографія Кутаискаго религіозно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская, домъ Киришева

**ვაგუალებ**

სამოვლელთა & სალიაკვნო  
საგნებში,

ავრეთვე სამასწავლებლო  
ეგზემენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კასაკოვის ქუჩა, № 17.